1941

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

მთავრობის

# დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული

1941 წ. მარტის 1 № 8 თბილისი

## შინაარსი

**სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება**

41. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებში მეხილეობის, მევენახეობის, მარცვლეული მეურნეობისა და მეცხოველეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ.

**სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება**

42. საქართველოს სს რესპუბლიკაში თაგვისებურ მღრღნელთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ.

1559

ეროვ. ბიბლ. სახ. სამ. ბიბლიოთეკა თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

**41. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებში მეხილეობის, მევენახეობის, მარცვლეული მეურნეობისა და მეცხოველეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

მოწონებულ იქნას მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის და საქ. კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის წინადადებანი სამხრეთ-ოსეთის კოლმეურნეობებში მეხილეობის, მევენახეობის, მარცვლეული მეურნეობისა და საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი განვითარების შესახებ და მიღებულ იქნას ოლქში სოფლის მეურნეობის ამ ძირითად დარგების ზრდის შემდეგი გეგმა:

1. აყვანილ იქნას ხილის ნარგავების ფართობი 2642 ჰექტარიდან 1940 წელს 5557 ჰექტარამდე 1945 წლის დამლევისათვის, რისთვისაც გაშენდეს 1941—1945 წლების პერიოდში 2915 ჰექტარი ხილის ახალი ნარგავი, აქედან:

ა) დაწესდეს კოლმეურნეობებში ხილის ბაღების გაშენების გეგმა 1941—45 წლებისათვის 1625 ჰექტარის რაოდენობით, რაც შემდეგნაირად განაწილდეს წლებისა და ცალკეული კულტურების მიხედვით:

| წლები | სულ | აქედან: | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | გაშლილ | მსხალი | ბალი | ჭერამი | ქლიავი | ატამი |
| 1941 . . . . . | 265 | 173 | 40 | 25 | — | 16 | 11 |
| 1942 . . . . . | 290 | 195 | 45 | 22 | 2 | 14 | 12 |
| 1943 . . . . . | 342 | 205 | 71 | 29 | 6 | 21 | 10 |
| 1944 . . . . . | 363 | 221 | 92 | 23 | 5 | 12 | 10 |
| 1945 . . . . . | 365 | 231 | 92 | 20 | — | 12 | 10 |
| სულ . . | 1625 | 1025 | 340 | 119 | 13 | 75 | 53 |

ბ) გაშენდეს კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე 130.000 ძირი ხეხილი, ანუ მთლიან დარგვაზე გადაყვანით 650 ჰექტარი, აქედან 1941 წელს—12.000 ძირი, 1943 წელს—36.000, 1944 წელს—32.000 და 1945 წელს—38.000 ძირი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) ამას გარდა, გაშენდეს კოლმეურნეობების, სკოლებისა და სასოფლო საბჭოების საკარმიდამო ნაკვეთებზე, სარწყავი არხებისა და გზების გასწვრივ— 16.000 ძირი ხეხილი (კაკალი, ალუბალი, ნუში და სხვ.), ანუ მთლიან დარგვაზე გადაყვანით 640 ჰექტარი, აქედან 1941 წელს—1.375 ძირი, 1942 წელს—3.250 ძირი, 1943 წელს—4.000 ძირი, 1944 წელს—4.000 და 1945 წელს—3.355 ძირი.

**2.** დაწესდეს ახალგაზრდა ბაღების მწკრივებს შორის ატმისა და ქონდარა თესლოვანი ხეხილის გაშენების გეგმა 81.000 ძირის რაოდენობით, აქედან: 1941 წელს—12.500 ძირი, 1942 წელს—17.000, 1943 წელს—17.500, 1944 წელს— 17.000 და 1945 წელს—17.000 ძირი.

**3.** ბაღები ძირითადად გაშენდეს შემდეგი ჯიშებით:

ვაშლი—კეხურა, შამპანიური რენეტი, საზამთრო ოქროსფერი პარმონი, ბელფლერი, კანადური რენეტი, საზამთრო ბანანი, ქართული სინაპი, ნარინჯოვანი კოქსის რენეტი, ბაუმანის რენეტი.

მსხალი-ბერო-ბოკო, ხეჭეჭური, ვილიამსი, სენ-ჟერმენი, საზამთრო დეკანკა და ბერე-არდამპონი.

ატამი—ხიდისთაური თეთრი, ხიდისთაური ვარდისფერი, ხიდისთაური ნაგვიანევი ყვითელი და ელბერტი.

ბალი—ყვითელი დროგანა, ქართული შავი, ქართული გინია, სამაისო საადრიო.

ქლიავი—მწვანე რენგლოდი, ალტმანის რენგლოდი, იტალიური ვენგერკა, ვიქტორია და ჭანჭური.

**4.** გაშენების დაწესებული გეგმის უზრუნველსაყოფად და ხეხილის არსებული ნარგავების სარემონტოდ დაწესდეს 1941—45 წლებისათვის ხეხილის, ქარსაცავი ხეების და ცოცხალი ღობის სანერგეების, აგრეთვე სათესლეთა სანერგეების გაშენების შემდეგი გეგმა:

| წ ლ ე ბ ი | ხილის სანერგეები | ქარსაცავი ზოლებისა და ცოცხალი ღობის სანერგეები | სათესი სკოლები |
|---|---|---|---|
| 1941 . . . . . | 6 | 5 | 1 |
| 1942 . . . . . | 8 | 3 | 0,5 |
| 1943 . . . . . | 3 | 2 | 0,5 |
| 1944 . . . . . | 3 | — | 0,5 |
| 1945 . . . . . | 2 | — | 0,5 |
| ს ულ . . . . | 22 | 10 | 3 |

5. დაიმყნას 20.000 ტყის ვაშლისა და მსხლის ხეებზე სულ მცირე 100.000 კალამი, აქედან 1941 წელს—20.000 კალმი, 1942 წელს—27.000 კალამი, 1943 წელს—18.000 კალამი, 1944 წელს—18.000 კალამი და 1945 წელს—17.000 კალამი.

6. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასკომს და საქ. კ. კ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტს უზრუნველჰყონ ხეხილის ნარგავების გაშენებისა და მოვლის ყოველგვარ, აგროტექნიკურ ღონისძიებათა დროულად და ხარისხობრივად ჩატარება, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ხილის ბაღების სნეულებისა და მავნებლების სრულ ლიკვიდაციას.

7. გავრცელდეს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებზე მუხ. 5 საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 23 ნოემბრის დადგენილებისა „1941—1945 წლებისათვის ქართლის რაიონებში ხილის კულტურების გაშენების გეგმის შესახებ“ (საქ. სსრ დადგ. კრ. 1940 წ. № 30, მუხ, 135)—იმ ნაწილში, რომელიც შეეხება მეხილეობის სპეციალური ბრიგადების მოწყობას ოლქის კოლმეურნეობებში.

8. აყვანილ იქნას ვენახის ფართობი კოლმეურნეობებში 1758 ჰექტარამდე 1945 წლის დამლევისათვის, რისთვისაც გაშენდეს 1941—1945 წლების განმავლობაში 1058 ჰექტარი, აქედან, 1941 წელს—101 ჰექტარი, 1942 წელს—106 ჰექტარი—1943 წელს—166 ჰექტარი, 1944 წელს—289 და 1945 წელს—396 ჰექტარი.

9. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას ვენახის გაშენების გეგმა სარგავი მასალით, გაშენდეს ვაზის სანერგეები: 1941 წელს—10 ჰექტარი, 1942 წელს—10 ჰექტარი, 1943 წელს—15 ჰექტარი, 1944 წელს—26 ჰექტარი და 1945 წელს—37,5 ჰექტარი

10. გაშენდეს 1941 და 1942 წლებში ამერიკული ვაზის (ბერლანდიერის) 26 ჰექტარი სადედეები, აქედან 1941 წელს—21 ჰექტარი.

11. ვენახი გაშენდეს იმ ჯიშებით, რაც დაწესებულია საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 18 სექტემბრის დადგენილებით.

12. მეაბრეშუმეობის განვითარებისათვის საჭირო საკვები ბაზის შექმნის მიზნით, დაწესდეს თუთის ხეების გაშენების გეგმა 20 ჰექტარი პლანტაციისა და 100.000 ძირი მაღალტანიანი თუთის ხის რაოდენობით, აქედან წლების მიხედვით:

| | პლანტაცია (ჰექტ.) | მაღალტანიანი თუთის ხე (ძირი) |
|---|---|---|
| 1941 წ. . . . . | 4,5 | 21.000 |
| 1942 წ. . . . . | 5,5 | 21.000 |
| 1943 წ. . . . . | 4,5 | 20.000 |
| 1944 წ. . . . . | 3,5 | 21.000 |
| 1945 წ. . . . . | 2 | 17.000 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

**13.** საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა გაითვალისწინოს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა წლიურ გეგმებში თუთის ხის სანერგეებისა და სათესი სანერგის გაშენება იმ ოდენობით, რაც უზრუნველყოფს თუთის ნარგავების დარგვის დაწესებული გეგმის შესრულებას.

**14.** აყვანილ იქნას 1945 წელს კარტოფილის ფართობი 1450 ჰექტარამდე და ბოსტნეულის ფართობი 1000 ჰექტარამდე, აქედან:

| | კარტოფილი | ბოსტნეული |
|---|---|---|
| 1941 წ. . . . . | 600 | 245 |
| 1942 წ. . . . . | 1030 | 300 |
| 1943 წ. . . . . | 1110 | 400 |
| 1944 წ. . . . . | 1240 | 550 |
| 1945 წ. . . . . | 1450 | 1000 |

**15.** წინადადება მიეცეს მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს და საქ. კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტს გაითვალისწინონ კოლმეურნეობათა საწარმოო გეგმებით ბოსტნეული კულტურების სათესლეების გაშენება იმ ოდენობით, რაც უზრუნველჰყოფს თესლით ბოსტნეულის ნათესებს.

**16.** დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს შეიმუშაოს და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს განსახილველად წარმოუდგინოს ღონისძიებანი ოლქის 217 კოლმეურნეობაში სწორი თესლბრუნვის შემოღების შესახებ იმ ანგარიშით, რომ თესლბრუნვის შემოღება დამთავრდეს 1945 წლის დამლევისათვის.

**17.** აყვანილ იქნას 1945 წელს საკვები კულტურების სათესი ფართობი სულ ცოტა 2.000 ჰექტარამდე.

**18.** დაწესდეს სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის 1941—1945 წლების განმავლობაში ახალი მიწების ათვისების გეგმა 5.000 ჰექტარის რაოდენობით: აქედან 1941 წელს—500 ჰექტარი, 1942 წელს—900 ჰექტარი, 1943 წელს—1.500 ჰექტარი, 1944 წელს—1.300 ჰქტარი და 1945 წელს—800 ჰექტარი.

**19.** მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა და საქ. კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტმა მიაღწიონ 1945 წლისათვის მარცვლეული თავთავიანი კულტურების საშუალო მოსავლიანობის გადიდებას ოლქში სულ მცირე 13 ცენტნერამდე, სიმინდის—20 ცენტნერამდე, კარტოფილის—150 ცენტნერამდე ჰექტარზე.

**20.** აყვანილ იქნას 1945 წლის დამლევისათვის საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობა კოლმეურნეობებში:

ა) მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა 47.400 სულამდე, აქედან ძროხებისა და ფურკამეჩებისა—8.860 სულამდე, 2 წლისაზე მეტი ხარებისა და კამეჩებისა—

24.930 სულამდე, აქედან 1942 წლის 1 იანვრისათვის სულ სულადობა 38.950, აქედან ძროხები და ფურკამეჩები 6.250 სული, 2 წლისაზე მეტი ხარები და კამეჩები 24.250 სული.

ბ) ცხვრისა და თხის—148.500 სულამდე, აქედან დედალი ცხვრისა და თხის—88.500 სულამდე, მათ შორის 1942 წლის 1 იანვრისათვის სულ სულადობა 86.400, აქედან დედა ცხვრისა და თხის—53.660 სული;

გ) ღორის—4000 სულამდე, მათ შორის დედაღორი 1400 სული, აქედან 1942 წლის 1 იანვრისათვის—1350 სული, მათ შორის დედაღორი—450 სული;

დ) ცხენის—2200 სულამდე, მათ შორის ფაშატი 660 სული, აქედან 1942 წლის 1 იანვრისათვის 870 სული, მათ შორის ფაშატი 330 სული.

**21**. 1941—45 წლების განმავლობაში მოეწყოს და დაკომპლექტდეს ნორმამდე სადედე სულადობით მეცხენეობის 32 ფერმა, აქედან 1941 წელს მოეწყოს მეცხენეობის 5 ფერმა.

**22**. იმისთვის, რომ გაუმჯობესდეს პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობა და მომარაგებულ იქნან საკოლმეურნეო ფერმები საჯიშე მასალით, მოეწყოს 1941—1945 წლების პერიოდში საჯიშე ფერმები:

შვიცის ჯიშის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ექვსი ფერმა, აქედან 1941 წელს—2 ფერმა.

დიდი თეთრი ინგლისური ჯიშის მეღორეობის რვა ფერმა, აქედან 1941 წელს—2 ფერმა.

ყაბარდული და ინგლისურ-ყაბარდული ჯიშის მეცხენეობის სამი ფერმა, აქედან 1941 წელს—1 ფერმა.

**23**. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს:

ა) გამოჰყოს 1941 წელს გარედან შემოყვანილი და შიგნით დამზადებული ოდენობიდან კოლმეურნეობებისათვის მისასყიდად და საჯიშე ფერმების მოსაწყობად: 5 სული შვიცის ჯიშის მოზვერი არაუმცირეს III გენერაციისა და 86 სული არაუმცირეს II გენერაციისა; 10 სული შვიცის ჯიშის დეკეული I გენერაციისა და 20 სული II გენერაციისა, 50 სული დიდი თეთრი ინგლისური ჯიშის ტახი და 25 სული ღორი; 10 სული ყაბარდული და ინგლისურ-ყაბარდული ჯიშის ჯიშიანი ულაყი და 30 სული ჯიშიანი ფაშატი;

ბ) შეიტანოს 1941 წლიდან ლენინგორის რაიონი თუშური ცხვრის სახელმწიფო ჯიშთსაშენის მომსახურებაში;

გ) გაითვალისწინოს 1941 წელს ერთი სასწავლო საჩვენებელი სამჭედლოს მოწყობა ქ. სტალინირში.

**24**. აყვანილ იქნას 1945 წლის დამლევისათვის სკების რაოდენობა კოლმეურნეობებში 20.000-მდე, აქედან 1941 წელს—5000 სკამდე.

**25**. დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს უზრუნველჰყოს 1941 წელს ვანათის არხის მშენებლობის პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის შედგენა.

ნება დაერთოს მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს დაიწყოს 1942 წელს და დაამთავროს ვანათის არხის მშენებლობა.

26. დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს:

ა) გაითვალისწინოს 1941 წლის გეგმით ცედნის მასივის ამოშრობა ჯავის რაიონში 400 ჰექტარ ფართობზე სათიბებად;

ბ) გაითვალისწინოს 1941 წლის გეგმით სასოფლო-სამეურნეო მანქანების ორი ფარდულის მშენებლობა და მიმდინარე რემონტის სახელოსნოს მოწყობა ქსუის მტს-ში, აგრეთვე ერთი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ამ მტს-ში 1942 წელს;

გ) შეიტანოს 1941 წელს სქუის მტს-ში 4 სალეწი მანქანა და 4 ტრაქტორი „უნივერსალი“ მთაგორიანი ზონის კოლმეურნეობებისათვის მომსახურეობის გასაწევად;

დ) 1941—45 წლების განმავლობაში უზრუნველჰყოს 50 ტრაქტორის შეტანა ოლქში.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს
თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის
მდივანი **კ. ჩარკვიანი.**

1941 წ. თებერვლის 1. № 167.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

## 42. საქართველოს სს რესპუბლიკაში თაგვისებურ მღრღნელთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს, რომ საქართველოს სს რესპუბლიკაში არასაკმაოდ ტარდება ბრძოლა თაგვისებურ მღრღნელებთან, განსაკუთრებით დამზადებათა სახალხო კომისარიატის სისტემის („ზაგოტზერნო", „ზაგოტსენო"), ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა და სამომხმარებლო კოოპერაციის (მაღაზიები, საწყობები, სასადილოები, ბუფეტები და სხვ.), კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატისა და ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემის (კვების საწარმოები, საწყობები და სხვ.) საწარმოებში, რკინიგზისა და წყალთა ტრანსპორტზე (სანავსადგურო და სასაქონლო საწყობები), მთელ რიგ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, რის შედეგადაც თაგვისებური მღრღნელები საგრძნობლად გავრცელდნენ.

დასახლებულ ადგილებში გამანადგურებელ ღონისძიებათა წლიური გეგმა 1940 წლის სამი კვარტალის განმავლობაში შესრულებულია მხოლოდ 79,4%-ით.

დასახლებულ ადგილებში გამანადგურებელ ღონისძიებათა გეგმის შეუსრულებლობის ძირითად მიზეზს წარმოადგენს ის, რომ:

ა) საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატი და მისი ადგილობრივი ორგანოები სრულიად არასაკმაო კონტროლს და მეთვალყურეობას უწევენ იმ ღონისძიებებს, რომლებიც ამ ხაზით ტარდება;

ბ) ჩაიშალა თაგვისებურ მღრღნელების დასაჭერ მექანიკურ მოწყობილობათა დამზადების გეგმა იმის შედეგად, რომ სახელმწიფო საგეგმო კომისიას არ გამოუყვია საჭირო რაოდენობის მავთული, ხოლო ვაჭრობის სახალხო კომისარიატს—მღრღნელების მისატ ;ებელ ნივთიერებათა დასამზადებლად საჭირო პროდუქტები;

გ) სუსტად ხდება თაგვისებურ მღრღნელებთან ბრძოლის ღონისძიებათა პოპულარიზაცია მოსახლეობაში;

დ) მთელ რიგ სამეურნეო ორგანიზაციათა („ზაგოტსენო", თბილისის ხორცკომბინატი და სხვ.) ხელმძღვანელები ვერ აფასებენ თაგვისებურ მღრღნელებთან ბრძოლის ღონისძიებათა მნიშვნელობას.

განსაკუთრებით დიდ სახალხო-სამეურნეო და სანიტარულ მნიშვნელობას ანიჭებს რა თაგვისებურ მღრღნელებთან ბრძოლის ღონისძიებებს რომლებიც უზრუნველჰყოფენ ამ მავნებლების მასობრივი გამრავლების თავიდან აცილებას, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატების, სამეურნეო ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და უწყებების ხელმძღვანელთა წინაშე გადაუდებელ ამოცანად დაისახოს თაგვისებური მღრღნელების კერების სრული ლიკვიდაცია მათს ობიექტებსა და მეურნეობებში, რისთვისაც მოეწყოს საწარმოებში, საწყო-

ბებში, საერთო სარგებლობის ადგილებში და ამ შენობათა ირგვლივ ადგილზე მთელ ტერიტორიაზე კომპლექსურ ღონისძიებათა გატარება თაგვისებური მღრღნელების მოსასპობად.

გაფრთხილება მიეცეს სახალხო კომისარიატთა, ორგანიზაციათა და უწყებათა ხელმძღვანელებს, რომ მათ ეკისრებათ პერსონალური პასუხისმგებლობა თაგვისებური მღრღნელების კერების სრული ლიკვიდაციისათვის.

2. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის მთავარ სახელმწიფო სანიტარულ ინსპექციას სისტემატური კონტროლი გაუწიოს მღრღნელების მოსპობის ღონისძიებათა გატარებას და პირადი ხელფასიდან დააჯარიმოს ის ხელმძღვანელები, რომელთა საწყობებში მაღაზიებსა და სხვა ადგილებში არ იქნება ლიკვიდირებული თაგვისებური მღრღნელების გავრცელების კერები.

3. დაევალოს საქალაქო საბჭოების აღმასკომების კომუნალურ განყოფილებებს და საბინაო მეურნეობის სამმართველოებს სისტემატურად აწარმოონ ბრძოლა თაგვისებურ მღრღნელებთან როგორც კომუნალური ფონდის სახლებში, ისე სხვა სახლთმფლობელობებშიაც.

4. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა სპეციალური ახსნა-განმარტებითი მუშაობა აწარმოონ მოსახლეობის შორის და მღრღნელებთან ბრძოლის საქმეში ჩააბან ყველა მობინადრე, ამასთან მიაწოდონ მოსახლეობას საჭირო მექანიკური ხელსაწყოები თაგვისებური მღრღნელების დასაჭერად.

5. დაწესდეს, რომ თაგვისებურ მღრღნელებთან გეგმიან ბრძოლას მოსახლეობაში აწყობს და მეთაურობს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატი, ხოლო მინდვრის პირობებში—საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი; ამასთან ყველა ის ორგანიზაცია, რომლებიც თაგვისებური მღრღნელების წინააღმდეგ ბრძოლის ხაზით მუშაობს, ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ინსტრუქციებით და მითითებით.

6. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატს და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს 5 დღის ვადაში დაამტკიცონ და გამოსცენ ინსტრუქცია თაგვისებურ მღრღნელებთან ბრძოლის შესახებ.

7. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატს ერთი კვირის ვადაში გაანაწილოს თაგვისებურ მღრღნელებთან ბრძოლის ხაზით მომუშავე ორგანიზაციებს შორის მომსახურეობის ობიექტები.

8. წინადადება მიეცეს ყველა სამეურნეო ორგანიზაციის ხელმძღვანელებს ათი დღის ვადაში დასდონ სათანადო სადერატიზაციო ორგანიზაციებთან ხელშეკრულებანი თაგვისებურ მღრღნელებთან ბრძოლის გატარების შესახებ.

9. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს გამოსცენ სავალდებულო დადგენილებანი თაგვისებურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მღრღნელებთან ბრძოლის შესახებ და დააწესონ ჯარიმა მათი მოსპობის ღონისძიებათა შეუსრულებლობისათვის.

**10.** დაევალოს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. გორდეზიანს და სარეწაო საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. შავგულიძეს მოაწყონ ხაფანგების, თაგვსაჭერებისა და აკანათების წარმოება იმ ანგარიშით: რომ 1941 წლის პირველ ნახევარში დამზადებულ იქნას:

ა) ხაფანგი . . . 40.000 ცალი საქ. სსრ ადგ. მრეწვ. სახ. კომისარიატის მიერ
ბ) თაგვსაჭერი . 30.000 „ სარეწაო საბჭოს მიერ
გ) აკანათი . . . 8.000 „ „ „ „

მღრღნელების საჭერ მოწყობილობათა შემდგომი წარმოება განახორციელონ იმ ოდენობით, რაც სავსებით დააკმაყოფილებს დაინტერესებულ ორგანიზაციათა და საწარმოთა მოთხოვნილებას.

**11.** დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას (ამხ. თარგამაძეს):

ა) საფონდო მასალების განაწილების დროს გაითვალისწინოს იმ ორგანიზაციათა მოთხოვნილების სავსებით დაკმაყოფილება საჭირო მასალით, რომლებიც თაგვისებურ მღრღნელებთან ბრძოლას აწარმოებენ (ცემენტი, ლურსმანი, მოთუთიებული რკინა, ქაღალდი);

ბ) განიხილოს მღრღნელების მექანიკურად საჭერი იმ მოწყობილობის კალენდარული გეგმა, რასაც საქ. სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატი და სარეწაო საბჭო უშვებენ (ხაფანგები, თაგვსაჭერები, აკანათები) და მთლიანად უზრუნველჰყოს იმ დავალების შესრულება სათანადო ფონდების გამოყოფით.

**12.** გამოყოფილ იქნას პირველ კვარტალში მღრღნელების მოსპობის ჩამტარებელი ორგანიზაციებისათვის „პიკაპის“ ტიპის ორი ავტომანქანა მექანიკურად საჭერი მოწყობილობისა და დაჭერილი მღრღნელების გადასაზიდად,

**13.** საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა და ცეკავშირმა ფართოდ მოაწყონ ხაფანგებით, თაგვსაჭერებით და აკანათებით ვაჭრობა სავაჭრო ქსელში როგორც ქალაქად, ისე სოფლად.

მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა მოაწყონ ხაფანგების, თაგვსაჭერებისა და აკანათების წარმოება ადგილზე, რისთვისაც გამოიყენონ ადგილობრივი მატერიალური რესურსები.

**14.** დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარს ამხ. დონაძეს მისცეს იმ ორგანიზაციებს, რომლებიც თაგვისებურ მღრნელებთან ბრძოლას ანხორციელებენ, მისატყუებლების დასამზადებლად საჭირო პროდუქტები.

საჭირო პროდუქტები გასცეს გეგმებისა და იმ განაცხადების შესაბამისად, რომლებსაც მღრღნელების წინააღმდეგ მებრძოლი ორგანიზაციები წარმოადგენენ.

15. დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს მნიშვნელოვნად გააძლიეროს ბრძოლა თაგვისებურ მღრღნელებთან მინდვრის პირობებში, ამასთან ბრძოლა აწარმოოს არა მარტო ნათესებზე, არამედ მთელ იმ ფართობებზე, გზებზე, თხრილებზე და სხვ., რომლებიც ნათესებს ეკვრიან.

ფართოდ გამოიყენოს თაგვისებურ მღრღნელებთან საბრძოლველად ავიაცია, ხოლო იქ, სადაც ავიაციის გამოყენება შეუძლებელია, გამოიყენოს სატრაქტორო-საფარდულო შემფრქვევები.

16. წინადადება მიეცეს მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს დაავალონ ყველა საბჭოთა მეურნეობას და სხვა სამეურნეო ორგანიზაციებს, რომლებსაც მინდვრის სავარგულები აქვთ, სისტემატური ბრძოლა აწარმოონ თაგვისებურ მღრღნელებთან საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან ერთად.

17. დაწესდეს, რომ იმ შემთხვევაში, თუ საბჭოთა მეურნეობებმა და სხვა ორგანიზაციებმა თავის დროზე არ ჩაატარეს თაგვისებურ მღრღნელებთან ბრძოლა მათს კუთვნილ ნაკვეთებზე, საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი ვალდებულია გაატაროს ეს ღონისძიებანი იძულებითი წესით და დახარჯული სახსრები სამმაგი ოდენობით გადაახდევინოს სათანადო ორგანიზაციებს, ამასთან დააჯარიმოს ორგანიზაციათა ხელმძღვანელები 500 მანეთამდე.

18. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ ადგილობრივ და საკავშირო მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს — ამხ. მარჯანიშვილს ყოველგვარი შესაძლო საშუალებით აწარმოოს ბრძოლა თაგვისებურ მღრღნელებთან ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებში, განსაკუთრებით კი იმ ტყეებში, რომლებიც ნათესებსა და დასახლებულ პუნქტებს ეკვრიან.

19. თაგვისებურ მღრღნელების გავრცელების კერების შესწავლის მიზნით:

ა) დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს გაითვალისწინოს ბიუჯეტით 30 ათასი მანეთის გამოყოფა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისათვის.

დაევალოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას ჩაატაროს თაგვისებური მღრღნელების გავრცელების კერების შესწავლა ფოთში, ბათუმში, გაგრაში, გუდაუთში, ახალქალაქში, ახალციხეში, ბოგდანოვკასა და ასპინძში;

ბ) საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა გაითვალისწინოს 1941 წლის ხარჯთაღრიცხვით 15.000 მანეთი თაგვისებური მღრღნელების კერების შესასწავლად მინდვრის პირობებში;

გ) საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატმა გაითვალისწინოს ხარჯთაღრიცხვით საეპიდემიო ღონისძიებებისათვის 20.000 მანეთი თაგვისებური მღრღნელების კერების შესწავლასთან დაკავშირებული ხარ-

ჯების დასაფარავად და მღრღნელების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა მოსაწყობდ.

20. დაევალოს სახალხო კომისარიატებსა და სამეურნეო ორგანიზაციებს, ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასრულებელ კომიტეტს, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს გაითვალისწინონ ბიუჯეტებითა და ხარჯთაღრიცხვებით თაგვისებური მღრღნელების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა გასატარებლად საჭირო სახსრები.

21. წინადადება მიეცეს გაზეთ „ზარია ვოსტოკას". „კომუნისტს" "სოვეტ გურჯისტანის" და „სოვეტაკან ვრასტანის" რედაქციებს, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების, საოლქო და სარაიონო გაზეთების რედაქციებს სისტემატიურად გააშუქონ პრესაში რესპუბლიკებსა, ოლქსა და რაიონებში თაგვისებურ მღრღნელებთან ბრძოლის საკითხები.

22. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატს—ამხ. მაჭავარიანს და საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—ამხ. ხოშტარიას 1941 წლის 1 კვარტალში გამოსცენ პოპულარული ბროშურები, პლაკატები და ფურცლები თაგვისებურ მღრღნელებთან ბრძოლის საკითხებზე.

23. დამტკიცდეს საქართველოს სს რესპუბლიკაში თაგვისებურ მღრღნელებთან ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა 1941 წლის გეგმა, რაც შემუშავებულია სახალხო კომისართა საბჭოს კომისიის მიერ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო გაფრთხილებას აძლევს ყველა სახალხო კომისარიატის, ცენტრალურ ორგანიზაციათა და უწყებათა ხელმძღვანელებს, რომ რესპუბლიკაში თაგვისებურ მღრღნელებთან ბრძოლის ამოცანა დამტკიცებული გეგმით კი არ ამოიწურება, არამედ მუშაობა უნდა გაიშალოს იმ ანგარიშით, რომ სავსებით იქნას ლიკვიდირებული თაგვისებური მღრღნელების გავრცელების კერები.

24. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების თბილისის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. კოჭლამაზაშვილს ერთი კვირის ვადაში დაუთმოს ლენინგრადის სადერატიზაციო-სადეზინსექციო სადგურის თბილისის განყოფილებას სათანადო სადგომი კანტორისა და ლაბორატორიისათვის.

25. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისრის მოადგილეს—მთავარ სახელმწიფო სანიტარულ ინსპექტორს ამხ. ფრანგულიანს და საქ. სსრ შინაგანი დაცვის სახალხო კომისარიატის მილიციის მთავარ სამმართველოს უფროსს ამხ. გუჯაბიძეს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს გააძლიერონ ზედამხედველობა ქალაქებისა და დასახლებული ადგილების სანიტარული მდგომარეობისადმი და მიიღონ ზომები ნებადაურთველი სანაგვე პუნქტების ლიკვიდაციისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**26.** დაევალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისრის მოადგილეს—მთავარ სახელმწიფო სანიტარულ ინსპექტორს ამხ. ფრანგულიანს და საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილეს ამხ. ალავერდაშვილს ყოველთვიურად წარმოუდგინონ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მოხსენებითი ბარათი საქართველოს სს რესპუბლიკაში თაგვისებურ მღრღნელებთან ბრძოლის ღონისძიებათა 1941 წლის გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1941 წ. თებერვლის 3. № 162.
თბილისი.

საქ. სსრ ს. კ. ს. ბიბლიოთეკა
თბილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**გამომცემელი: საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო**

უნდა ჩაბარდეს პირველ რიგში
ხელწერილის ქვეშ

მისამართისათვის

**ფასი 40 კაპ.**

**ლ. ბ. ბერიას** სახელობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი". თბილისი, ლენინის ქ. № 28.

შეკვეთა № 538 ტირაჟი 1.600